პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! წელიწადი მესამე.

კომუნისტი

ს. ს. ს. რ.
ცენტრალურ და ტფილისი
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუთველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 24, ტელეფონი 5—43.
ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—8.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—8.500.000 მან. კოლექტ. ხელის მოწ. 5.000.000 მ. განცხადება 15 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ერვონცებით.

დღიური

— სტამბოლში დიდი ზეიმი გაიმართა ოსმალეთის ჯარების შემოსვლის გამო.

— დოლარი ბერლინში 1,197 მილიონი ფასობს.

— სტინესსა და დეგუტს შორის მოლაპარაკება გრძელდება.

— ფრანგი როიალისტები კავგორში თავს დაესხენ ყოფ. მინისტრს მალვის.

— პოლონეთში რკინისგზებზე შტატების შემცირების გამო ქუჩაში დარჩა 40,000 კაცი.

№ 233 ხუთშაბათი, 11 ოქტომბერი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 400.000 მან. № 233

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მწუხარებით აუწყებს ამ ხანაგებს ახალგაზ. კომკავშირის დამაარსებელის და პარტიის ძველი თვალადგებული მებრძოლის

ამხ. ბორის ძნელაძის

უდროოდ დაკარგვას.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი აცნობებს ამხანაგებს ახალგაზრდათა კომკავშირის დამაარსებელის, პროლეტარულ რევოლიუციისათვის თავდადებულ მებრძოლის

ამხ. ბორის ძნელაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს.

კომუნისტურ ახალგაზრდობის ცენტრალური კომიტეტი მწუხარებით აუწყებს ამხ ნაგებს ჩკონი კავშირის დამაარსებელის და თავდადებულ მებრძოლის

ამხ. ბორის ძნელაძის

უდროვოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება დღეს, 11 ოქტომბერს.

რუსეთის ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი იუწყება ამიერ-კავკასიის ახალგაზრდათა კომუნისტურ მოძრაობის ერთ-ერთ დამაარსებლის საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტის ყოფილ მდივნის და რუსეთის ახალგაზრდათა კომკავშირის კავკასიის სარაიონო კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, სახელოვან და შეუპოვარ მებრძოლის

ამხ. ბორის ძნელაძის

უდროოდ გარდაცვალების შესახებ. გასვენება ხუთშაბათს, გასვენების წესისა და ადგილის შესახებ ცალკე იქნება გამოცხადებული.

საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ქუთაისის სამაზრო კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს დაღალვი მებრძოლის და კომკავშირის დამაარსებლის ამხ

ბორის ძნელაძის

უდროოდ დაკარგვის გამო.

ს. ახ. კომპ. ბორის სამაზრო კომიტეტი დიას მწუხარებით აღნიშნავს სრულიად მოულოდნელად კომუნისტური კავშირის დამაარსებლის, მხნე რევოლიუციონერის ძვირფას

ამხ. ბორის ძნელაძის

უდროოდ გარდაცვალებას.

გურიის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის სამაზრო კომიტეტი ღრმა მწუხარებით აუწყებს გურიის ორგანიზაციის ყველა წევრებს საქ. კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის დამაარსებელის

ამხ. ბორიას

უდროოდ დაკარგვას.

სატყეო ტრესტის „საქ. ტყე"-ს თანამშრომლები უცხადებენ თანაგრძნობას ამხ. **ვარლამ ძნელაძეს** და იზიარებენ მის მწუხარებას მისი ძმის,

ბორის ძნელაძის

უდროოდ გარდაცვალების გამო. 29 1—1

ღრმად დამწუხრებულნი ძმა ვარლამი, რძალი ალექსანდრა (შურა) და მარუსია, ბიძები გიორგი ძნელაძე და კოტე ცქიტიშვილი თავიანთი ოჯახებით აუწყებენ ნათესავებს, ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ ამა წლის 5 ოქტომბერს ხანგრძლივ ავადყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ბორის (ბორია) ძნელაძე

გამოსვენება 11 ოქტომბერს, ნაშუადღევის 4 საათზე. განთავის ქუჩა № 3. 23 3—3

რუსეთის პროფკავშირების ცენტრ საბჭოს პლენუმის სესია

ამ რამოდენიმე ხნის წინათ მოსკოვში მოწვეული იყო პროფ. კავშირების ცენტრალური საბჭოს პლენუმის მეოთხე სესია. სესიაზე განხილულ იქნა საკითხები: პროფკავშირების სტრუქტურა საბჭოთა ტერიტორიის რაიონებად დაყოფის შემდეგ, განათლების კომისარიატის მოხსენება, უმუშევრობის საკითხი, სოციალური დაზღვევა, შრომის ხელფასის პოლიტიკა, პროფინტერნის მოქმედება და ამოცანები და სხ.

სესიის ძირითად და უმთავრეს საკითხად უნდა ჩაითვალოს **შრომის ხელფასის პოლიტიკა** და მასთან დაკავშირებული სახალხო მეურნეობის მდგომარეობა. ამის შესახებ მიღებული რეზოლიუციაა ამბობს, რომ შრომის ხელფასის საერთო ზრდა ჯერ კიდევ შეუძლებელია ამ პირობებში, რომელშიაც ახლა იმყოფება სახალხო მეურნეობა. მხოლოდ ცალცალკე პროფესიაში, როგორც მეფეთონეთა, ტრანსპორტის და სხვა, რომელნიც შრომის ხელფასის როადენობის მხრივ ჩამორჩენილი არიან, უნდა იქნეს მიღებული ზომები ხელფასის გადიდებისათვის. ამასთან ერთად დაშვებული არ უნდა იქნეს სამუშაო ხელფასის რეალური როადენობის ძარა დაწევა, რომლის ტენდენცია ამ უკანასკნელ დროს შემჩნეულია. რეალური ხელფასის შესანარჩუნებლათ უნდა ხდებოდეს მისი დროზე და დაუგვიანებლივ ნენერა დარიგება. საჭიროთ იქნა ცნობილი ხელფასის გაცემა საერთო მატეიცე ზომის ერთეულებით (ჩეროვონცებით) და ამით მის ბაზრის ფასების მერყეობის გავლენიდან დახსნა. საცდელათ ხელფასის ჩერვონცებით დარიგება უნდა შემოღებულ იქნას ტრანსპორტზე და საბჭოთა დაწესებულებებში. ამ ცდის შედეგზე იქნება დამოკიდებული მომავალში ყველგან ჩერვონცებზე გადასვლა, ან საქონლის მანეთის დატოვება.

პლენუმმა, მიიღო რა მხედველობაში ის არანორმალური განსხვავება სამუშაო ხელფასის როადენობის მხრივ ერთ და იგივე კვალიფიკაციის მუშებისათვის სხვადასხვა წარმოებადაწესებულებებში, რაც იწვევს უმეტესი ნაწილის სამართლიან უკმაყოფილებას, საჭირო სცნო მიაქციოს კავშირების ყურადღება ამ მოვლენას და კოლექტიური ხელშეკრულებებით, ერთიანი სატარიფო ცხრილებით და სხვა ზომებით, შეამციროს განსხვავება ერთი და იგივე კატეგორიის მუშათა ხელფასის შორის.

კავშირების ეკონომიური მუშაობა უნდა გაცხოველებული იქნას. ისინი უნდა ებრძოლონ სახალხო მეურნეობის უწესოდ დაყენებას, უთავბოლო ზედმეტ ხარჯებს და ნაწარმოების ფასების გადიდებას.

უმუშევრობის საკითხის შესახებ გადაწყდა, რომ უმუშევართა შორის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს უმუშევრების კვალიფიციურ და წარმოებებში ნამყოფ ნაწილს (რომელიც ახლა შეადგენს უმუშევრების საერთო რიცხვის 38 პროც.ს), მათთვის დახმარების აღმოსაჩენათ და სამუშაოზე გასაგზავნათ. უმუშევრის ბილეთი უნდა მიეცეს მხოლოდ ნამდვილ უმუშევრებს, დანარჩენები კი ბილეთის მაგივრათ უნდა ღებულობდენ ჩაწერის რიგის ნომერს. ამით ბირჟაში ჩაწერის სურვილი მოესპობათ ყველა მათ, რომელთაც სურთ უმუშევრის ბილეთის საშუალებით ისარგებლონ სხვადასხვა შეღავათების მიღებათ. ეს ზომა გაწმენდს ჩაწერილ უმუშევართა რიგებს არა მუშრომელი და წვრილ ბურჟუაზიულ ელემენტების გან.

გაგზავნის მექანიკური რიგი ისპობა და უმუშევარი იგზავნება ამისდამიხედვით, თუ როგორ შეფერება ის მოთხოვნილებას. ეძლევათ აგრეთვე საშუალება დამქირავებლებს თვითონ მიიღონ მონაწილეობა უმუშევრების ამორჩევაში.

დახმარების ნორმები საშუალოდ ისაზღვრება ნ საქონლის მანეთით კვალიფიციურ და ამ მანეთთან არა კვალიფიციურ უმუშევრებისათვის. მისი გადიდება შეუძლებელია, ვინაიდან მაშინ ის გაასწრებს ზოგიერთი პროფესიის მომუშავეების ჯამაგირს, რაც არანორმალური იქნება.

საზოგადო სამუშაოების და არტელების მოწყობაში ბევრის გაკეთება შეუძლებელათ იქნა ცნობილი. მათ მოსაწყობათ, თანხების გაღების მაგივრათ, უფრო რაციონალურია არსებულ წარმოებათა გაფართოვება.

სოციალურ დაზღვევის სფეროში საკროთ იქნა ცნობილი დახმარების და პენსიების ნორმების გადიდება იმ რაოდენობით, რომელიც გათვალისწინებულია კანონში (ავადმყოფობის დროს ფატეიურ ხელფასის მიცემა და სხვა). ვინაიდან სამკურნალო დახმარების ორგანიზაცია მიიკოკლებს და ჯანმრთელობის ორგანოები დაზღვეულების თანხებს ხარჯავენ არაპირდაპირ დანიშნულებისამებრ, შემოღებული უნდა იქნას წესი ჯანმრთელობის ორგანოსთან ხელშეკრულების დადებისა და მხოლოდ ისეთი მათი ხარჯების დაფარვა, რომელიც საჭიროა დაზღვეულების ძირითად და სპეციალურ მკურნველობისათვის. ჯანმრთელობის კომისარიატი ვალდებულია თავის საკუთარი ბიუჯეტიდან გასწიოს ხარჯები საერთო ჯანმრთელობის საქმის დასაყენებლათ დაზღვეულებთათვისაც, იმ თანხების გარეშე, რომლებსაც ის იღებს დამზღვევ ორგანოებისგან.

პლენუმმა მიიღო დადგენილება საექიმო საკანტროლო კომისიების ჯანმრთელობის ორგანოებიდან საავადმყოფო კასების ხელში გადაცემის შესახებ.

საბჭოთა დაზღვევის ერთიანობის დაცვის და განმტკიცებისათვის დადგენილი იქნა საბჭოთა საკავშირო მასშტაბით სათადარიგო დამზღვევი ფონდების ცენტრალიზაცია.

პროფინტერნის წარმომადგენელის მოხსენების გამო მიღებულ რეზოლიუციაში პლენუმი იწონებს მის მუშაობას და წინადადებას აძლევს ცალკცალკე კავშირებს ეცადონ შექმნან საერთაშორისო პროფესიონალური ორგანიზაციები. ამასთანავე ის კიცხავს ტრანსპორტის მუშათა ფედერაციის მემარჯვენე ნაწილს, რომელმაც ხელი შეუშალა გაერთიანებას.

პლენუმი, სნობს რა, რომ იზრდება კომუნისტური მოძრაობა — ერთი მხრივ და ფაშისტური — მეორე მხრივ, და რომ მომავალში მოხდება გადამწყვეტი ბრძოლები, მოუწოდებს ყველა ქვეყნის მუშებს შეერთებისკენ ბურჟუაზიული წესწყობილების ღასამხობათ.

გერმანიის რევოლიუციის დასახმარებლათ პლენუმი მიმართავს რუსეთის და სხვა ქვეყნების პროლეტარიატს ძალების მოსაკრებათ და გერმანელ მუშების გამოჯანმრთელების შემოხვევაში ინტერვენციისათვის ხელის შესაშლელათ.

დამქირავებელის მიერ მონაწილეობის მიღება უმუშევრების ამორჩევაში

აქამდი არსებული წესით როგორც სახელმწიფო, ისე კერძო წარმოება დაწესებულება მუშის ან მოსამსახურის დასაქირავებლად უგზავნიდა მოთხოვნილებას შრომის ბირჟას. ეს უკანასკნელი აღრიცხულ უმუშევართა შორის არჩევდა წარმოდგენილ მოთხოვნილების შესაფერ უმუშევარს.

ამორჩევა ხდებოდა თვით შრომის ბირჟის მიერ და დამქირავებელი მასში არ ერეოდა. ხშირად ასეთი წესის შედეგათ იყო ის, რომ სამუშაოზე გაგზავნილი უმუშევარი ვერ აკმაყოფილებდა დამქირავებელს და უვარგისი იყო ამ სამუშაოსთვის, რომლისთვისაც ის იგზავნებოდა. ეს კი ბევრს ნდობას უკარგავდა შრომის ბირჟისადმი, რომლის უთანავრესი დანიშნულება არის მიაწოდოს დამქირავებელს მუშობისათვის გამოსადეგი უმუშევარი.

ზევით მოყვანილ წესში ერთგვარი ცვლილება შეაქვს საკავშირო შრომის კომისარიატის ახლად გამოცემულ განკარგულებას, რომელიც შესაძლებლად ხდის უმუშევრების ამორჩევაში მონაწილეობა მიიღოს თვით დაქირავებაში დაინტერესებულმა წარმოება-დაწესებულებამ (როგორც სახელმწიფო, ისე კერძომ). მაგრამ ამორჩევაში მონაწილეობას ვერ მიიღებს ყველა და ყოველთვის, ეს წესი დაშვებულ იქნება მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევაში.

თვით სტატია „ამორჩევა" გვეუბნება მას, რომ ამორჩევაში მონაწილეობის მიღება საჭიროა მხოლოდ მაშინ, როცა ხდება ცოტათ თუ ბევრათ კვალიფიციურ მომუშავეების დაქირავება, სადაც აუცილებელია შერჩევა ამა თუ იმ მუშაობის ან ხელობის უკეთეს ცოდნის მხრივ. ეგრედ წოდებულ შავი მუშების დაქირავების დროს არავითარი ამორჩევა არ არის საჭირო.

შემდეგ ამორჩევაში მონაწილეობის მიღება დაიშვება მაშინ, როცა დამქირავებელს სურს დაიქირავოს არა ნაკლებ ათი მუშისა, ამაზე მცირე კვალიფიკაციის მომუშავენი, და თუ განზრახულია დასაქირავებელ უმუშევრების სხვა ქალაქში ან ადგილში გაგზავნა და კიდევ მაშინ, როცა შრომის ბირჟა სამი დღის განმავლობაში ვერ აკმაყოფილებს წარმოება-დაწესებულების მოთხოვნილებას

ამორჩევაში მონაწილეობის მიღების ნებართვას აძლევენ შრომის ბირჟის კომიტეტები ან ბირჟის გამგეები თვითეულ კერძო შემთხვევაში სახელმწიფო და კერძო დაწესებულება-წარმოებას. როგორც საერთო უფლება ყველასადმი მინაშეებული, ის არ იარსებებს.

თვით ამორჩევაში მონაწილეობის მიღებას სათათბირო ხასიათი აქვს და ის სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ დამქირავებლის მიერ ამორჩეული უმუშევარი უსათუოთ გაიგზავნოს მასთან. შრომის ბირჟას რჩება უფლება დააკმაყოფილოს ან არ დააკმაყოფილოს დამქირავებლის სურვილი. გამონაკლისს შეადგენს ის შემთხვევა, როცა ამორჩევა ხდება იმ მიზეზის გამო, რომ შრომის ბირჟამ სამი დღის განმავლობაში ვერ დააკმაყოფილა წარმოება-დაწესებულების მიერ წარდგენილი მოთხოვნილება მუშა ხელზე.

ასეთ დროს დამქირავებელის ამორჩეული უმუშევრის გაგზავნა სავალდებულოა, დანარჩენ შემთხვევაში კი არა.

ამორჩევაში დამქირავებლის მონაწილეობის მიღება ტეხნიკურად გამოიხატება შრომის ბირჟაში ჩაწერილ სათანადო კვალიფიკაციის უმუშევრების დაკითხვაში (ცოდნის გამორკვევისათვის) და ექსპერტიზაში.

ასეთი წესის შემოღებით შესაძლებელი ხდება წარმოება-დაწესებულებათა მოთხოვნილების სწორედ დაკმაყოფილება და სამუშაოზე გაგზავნა საათანადო კვალიფიკაციის მუშებისა. ამით შრომის ბირჟით უკმაყოფილოთა რიცხვიც შემცირდება.

ტომელი

ნერლეგი ბერლინიდან
სურათები გერმანიის ცხოვრებიდან

ბერლინის ქუჩებზე

20 ნაბიჯსაც ვერ გადადგამ ბერლინის ქუჩებზე, რომ არ წააწყდეთ საშინელი სიღატაკის სურათს. დუქნების კაკარებთან ყოველდღიურათ, მთელი რიგ საათების განმავლობაში ტრიალებენ ქალები, ბავშვები, მოხუცებულები, უმუშევრები, დიასახლისები უგროშკაპეიკოთ ჯიბეში, ხელზე მოსამსახურები. რიგი რძეზე (რომელიც ხშირად სრულიად არ იშოვება), რიგი კარტოფილზე (რომელიც აგრეთვე არ იშოვება), რიგი მარგარინზე (რომლის გაყიდვა ვაჭრებმა შესწყვიტეს ამ რამდენიმე ხნის წინათ ფასის გადიდების მიზნით). დგანან რიგში, როგორც ომის დროს, მაგრამ ნაკლები მოთმინებით და უფრო უარეს პირობებში, გაჭირა მოთმინება, რადგან ვერავითარი გამათანასწორებელი ზომები, ვერავითარი ულუფები ვერ აიძულებენ შეძლებულ კლასებს გაიზიარონ თუნდ მცირე ნაწილი საერთო გაჭირვებისა, ვაჭრობა იწყება თერთმეტ საათზე, როცა ქვეყნდება პირველი ცნობები ბირჟიდან. თითეულ წუთში სპეციალური შიკრიკები აწვდიან მათ ცნობას დოლარის კურსის შესახებ, რომლის ფასში აწევა იწვევს ფასების საერთო ზრდის.

მუშამ შაბათს მიიღო მაგალითად 100 მილიონი მარკა, ანგარიშობს თუ რა იყიდოს, რამდენ დღეს ეყოფა ჯამაგირი. ორშაბათს ცოლი მისს ბაზარში.—არც კვერცხი, არც ... არც კარტოფილი, არც მწყანი... ბაზარზე არ იშოვება. მემწვანიები უცდიან სამშაბათის ბირჟას. ... შაბათს, დოლარის კურსი ორჯერ დდება, იწევს ფასები სანოვაგეზე და ნი დიასახლისი ვერ ახერხებს იმის ამდენს შეძენასაც, რასაც ფიქ... ბდა.

... ი აგერ ... ერიგ უბანში, დუქნის ... თავი მოუყრია ოცდაათამდე ... ს. დაფლეთილი ტანსაცმელი, ... ზ ადგილზე დაკერებული. მოხუ... ული, დანაოჭიანებული ხელები. ... ღლილი სახეები. ისმის ბრაზიანი, ... ყოფილი ხმები. ვაჭარმა დილით ... ლერ მოუმატა ფასები კარტოფილს. — „მოუგრიხოთ კისერი მაგას". ... ვგრამ ორი პოლიციელი, რევოლ... ვებით დგანან სამ ნაბიჯზე დუქ... ნინ.

ჰილფერდინგი და შტრეზემანი-დაცინვით ამბობს გამვლელი ახალგაზრდა მუშა და უჩვენებს პოლიციელებზე.

... ცილი.

... ვინიან და ბრაზი აღრჩობთ.

... ტა იქით, განცხადების წინ მეორეგვეგუფი. დგობენ. ქალაქის თვითმართველობა ადიდებს ფასს გაზზე და ნგარიშობს ოქროთი დოლარის კურსით, გადახდის დღეს.

... ვ ც მოხუცი, როგორც, ჩანს ძველი ... ოხელე, იხსნის ცხვირიდან პენსნეს ... ა ნელა ამბობს:

— „არამზადები".

ჩაები ლაპარაკში. ხანში შესული ... კაცი ამბობს:

— აშკარაა: ჩვენც უნდა გავიაროთ ეს.

— რა?

— **ის, რაც გაიარეს რუსებმა!**

მართალია, სრულიად აშკარაა. ძლიერ ნათელია თუ ეს უსაქმო მოხეტიალე ვალპელმშრომელი ... ან ... ნ ... ეს. დაფლეთილი ტანსაცმელი, ... ბრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი და არ დაჭკლებია ოზურგეთის ბანდიტების საწინააღმდეგო ბრძოლასაც, ა. წ. იანვარში; აქ მან ვეღარ აიტანა ოზურგეთის ნესტრანი ჰავა და ისევდაც დაბანებულა ფილტვები კიდევ უფრო დაუზიანდა. ტფილისში ჩამოსვლისას სკოლახანაში ერთ დ 4 აპრილს ამხ. ბორისი ჩავარდ ლო გინათ და ამის შერე მან ვეღარ შესძლო თავის საყვარელ სკოლაში მუშაობა. ექიმების რჩევით ამხ. ბორისი ზაფხულზე მიდის ბორჯომში შემდეგ აბასთუმანში. ამ ხნის განმავლობაში მან სულ ერთხელ ინახულა სკოლა და დაჰყო მასთან 3 დღე. მთელი ამ ხნის განმავლობაში ამხანაგი ბორისი ვერ ჩერდებოდა აგარაკზე, სულით და გულით სკოლასთან იყო და ზრრაა

საშგლოვიარო დეპეშები

ამხ ბორის ძნელაძის გარდაცვალების გამო რედაქციამ შემდეგი სამგლოვიარო დეპეშები მიიღო:

ლანჩხუთიდან: ლანჩხუთის რაიონული პარტიული კონფერენცია ღრმა მწუხარებას გამოსქვამს დაუღალავი რევოლიუციონერის, ბორის ძნელაძის გარდაცვალების გამო.

კონფერენციის პრეზიდიუმი

ოზურგეთიდან: გურიის სამაზრო პარტიული კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს თავდადებული რევოლიუციონერის, ძვირფასი ამხანაგის ძნელაძის უდროოდ დაკარგვის გამო.

მდივანი **მგალობლიშვილი.**

ამხ. ბორის ძნელაძის დაკრძალვის ორგანიზაციის კომისია

(ხ. კ. პ. ც. კ. და ხ. ა. კ. კ. ც. კ-ის)

აცხადებს შემდეგს ფაქტებს

1) დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს.

2) მუშათა ახალგაზრდობა, ყველა საზოგადო, კერძო, სახელმწიფო და სხვა წარმოებებში თავისუფლდებიან მუშაობიდან 2 საათზე.

3) კომ-კავშირის უჯრედების ხელმძღვანელობის ქვეშ მიემართებიან თავიანთ რაიკომებისაკენ.

4) კომ-კავშირის მესამე და მეოთხე რაიონი და სამხედრო ნაწილები გროვდებიან 3 საათზე თავისუფლების მოედანზე. (ერევნის მოედანი).

5) კომ-კავშირის პირველი და მეორე რაიონი გროვდებიან კირკის და პლუხანოვის ქუჩების კუთხეებში, რაიკომთან.

6) პარტიული ამხანაგები, მუშები და მოქალაქენი 3 საათზე გროვდებიან გ. ნოვის ქუჩაზე, სახლი № 3.

7) ცხედრის გამოსვენება ოთახიდან განავს ქუჩით 3 და ერთ მეოთხედ საათზე, მთელი პროცესია გაემართება თავისუფლების მოედნიდან პუშკინის ქუჩით, ვორონცოვის ხიდის გზით კირკის ქუჩაზე, სადაც ერთიდიანან პირველი და მეორე რაიონებთან და ყველა ერთად კირკის ქ. და რუსთაველის პრ. გზით გაემართებიან ქ. ა. ა. სახლისაკენ (ყოფ. სამხედრო საკრებულო), სადაც მოხდება დაკრძალვა.

8) რაიონის ფარგლებში ამხანაგებმა ყველა კითხვებზე მიმართონ რაიონების მდივნებს.

9) კომისიის მიერ პასუხ. ხელმძღვანელებად დანიშნულია ამხ. ამხ. ვ. დარახველიძე და ლ. ლომიძე.

10) სამოქალაქო პანაშვიდი ოთხშაბათს 5 საათზე დანიშნულია სადრამაში.

11) ოთხშაბათს და ხუთშაბათს კომ-კავშირთა ყველა დაწესებულებები არ მუშაობენ და მგლოვიარობის ნიშნად ყველა სხდომები, კრებები და სხვა გადაიდება, (ამათ გამოკლებით, რომელნიც გამოწვეულია ამხ. სიკვდილითა და დაკრძალვით.)

კომისია.

რაფდიო-ფეიეტონები

(„ზაკროსტას“ ცნობები)

გერმანიის ამბები

გერმანიის პროლეტარიატი დიდი უკმაყოფილებით შეხვდა კოალიციის აღდგენას. სოციალ-დემოკრატების თანამშრომლობ იწვევს მუშების ჩამოშორებას სოციალ-დემოკრატებისაგან.

სოციალ-დემოკრატების კონფერენციაზე ბერლინში არ ალაპარაკეს მემარჯვენე ფრთის წარმომადგენელი, რომელიც ამარ ლებდა კოალიციას ბურჟუაზიასთან.

სტინეს-დეგუტის მოლაპარაკებას შტრეზემანის მთავრობაც უჭერს მხარს. გერმანიის მთავრობამ ამის შესახებ ოფიციალურ წინადადება მისცა საფრანგეთის მთავრობას.

ტიურინგიისა და საქსონიის მუშურ მთავრობებს შორის მოხდა სრული შეთანხმება შეთანხმებული მოქმედების შესახებ კონტრევოლიუციის წინააღმდეგ.

დამოკიდებულება ბავარიასა და შუა-გერმანიის რესპუბლიკებს შორის მწვავდება.

ბერლინში განახლდა „როტე-ფანეს“ გამოსვლა.

რეიხსტაგში

პარიზი. 10 ოქტ. რეიხსტაგში იხილავენ კანონ-პროექტს მთავრობისათვის საგანგებო უფლებების მიცემის შესახებ. შინაგან საქმეთა მინისტრმა ზოლმანმა გასაცხადა, რომ ეხლანდელი მდგომარეობა მოითხოვს თავ-მისგან ეკან დახევას კონსტიტუციონერი გზებიდან. სოციალისტი მიულერი და კომუნისტები სახელმწიფოს ღალატად სთვლიან მიღებულ ოქმ-მოდელს რუსობა. კომუნისტებმა შეატანეს ამ ბრალდება, რომელთაც მოითხოვენ სახელმწიფო ღალატის ფაქტის აღიარებას. რეიხსვერის მინ სტრმა მოხსენება გააკეთა ამ ბრძანების შესახებ, რომლითაც აღკრძალულია ამბების ესახებ ცნობების გამოქვეყნება, ოფიციალურ ცნობათა გარეშე. შემდეგ რეიხსტაგმა გადასდო კამათი მთავრობის განსაკუთრებულ უფლებების შესახებ, რომელსაც მოითხოვდა კანცლერი და რომელიც უკვე მოწონებულ იქნა რეიხსტაგის მიერ.

შტრეზემანი ამართლებს თავის კოლეგიალობას.

ბერლინი. 9 ოქტომ. დღეს, სამშაბათს დილით დამთავრდა რეიხსტაგის სხდომა, რომელიც 12 საათს გრძელდებოდა; სხდომაზე სწარმოებდა კამათი შტრეზემანის მოხსენების შესახებ. კამათის შემდეგ, რეიხსტაგმა მოიწონა კაბინეტის პოლიტიკა და ნდობა

მუშურ-გლეხური მთავრობისათვის ბრძოლა გრძელდება

საძალონიაში.

ბერლინი. 10 ოქტომბერი. საქსონიის ლანდტაგის გახსნა გადაიდო 9-დან 11 ოქტომბრამდე, რადგანაც მთავრობის ახალი პროგრამა, მთავრობაში კომუნისტების შესვლის გამო, კიდევ არ იყო შემუშავებული ალნიშნულ ვადადე.

ბუჩუაზიას აშინებს ფიქალი ბლოკი.

ბერლინი. 9 ოქტომბერი. ბურჟუაზიული პრესა ძლიერ შეშფოთებულია შუა გერმანიაში შექმნილ წითელი ბლოკით. პრესა ალნიშნავს, რომ საქსონიის პროლეტარული რაზმები წარმოადგენენ საქსონიის პოლიციის დამხმარე ძალას.

შავ ბავარიასთან შეგრძელდების წინ.

ბერლინი. 9 ოქტომბერი. გაზეთებს ეწერებოდა, საქსონიასა და ტიურინგიაში შექმნილ წითელ ბლოკის გამო, ურთიერთობა ბავარიასა და შუა-გერმანიის სახელმწიფოებს შორის უფრო და უფრო მწვავდება.

ტიურინგია ა პროლეტარიატის რევოლიუციონერი ბალაყვეტილება

ბერლინი. 9 ოქტომბერი. ვეიმარში, მიუხედავად ყველაფერ პროფკავშირების წინააღმდეგობისა, შეადგა ტიურინგიის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების ყრილობა. ყრილობამ გადაწყვიტა საჩქაროთ მობილიზაცია უყოს ყველა პროლეტარული ძალებს, და აგრეთვე გამოცხადოს გერმანიაში საერთო გაფიცვა.

მეგრძელ ფაბრის მოფლდება.

ბერლინი. 9 ოქტ. გერმანიის საფაბრიკო საქარხნო კომიტეტების ცენტრალურმა კომიტეტმა მოწოდება გამოუშვა გერმანიის პროლეტარიატის მიმართ, რომელშიც ესალმება რა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების ტიურინგიის ყრილობის გადაწყვეტილებას, მოუწოდებს გერმანიის ყველა მეშუბეს, მიმაძონ ტიურინგიის მაგალითს და მოიწვიონ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების სრულიად გერმანიის ყრილობა.

რევოლიუციონერ სიტყვებიდან რევოლიუციონერ მოქმედებისაკენ.

ბერლინი. 9 ოქტომბერი. ტიურინგიის ყველა წარმოებებში ყოველდღე ხდება კრებები, რომელზედაც ირჩევენ მოქმედების კომიტეტებს.

პარტიული მაჯა იწოლნებს ხელმძღვანელების ბალაყვეტილებას.

ბერლინი. 9 ოქტომბერი. ტიურინგიის კომპარტიის სოფლურ კონფერენციამ რეზოლიუცია მიიღო, რომელიც იწონებს კომუნისტების შესვლას ტიურინგიის მთავრობაში.

არ ეშინია აკრძალვის.

ბერლინი 9 ოქტომბერი. მიუხედავად სამხედრო ხელისუფლების მიერ გამოცხადებულ აკრძალვისა, საქსონიის კომუნისტური პარტიის „მუშათა გაზეთი“ განაგრძობს გამოსვლას.

შტრეზემანი ცდილობს ხელი შეუშალოს მოლაპარაკებას ფრონტს.

ბერლინი. 9 ოქტომბერი. საქსონიის და ტიურინგიის პრემიერებს ეცნობენ ოფიციალურად და ფრეიტიხს, ორივე სახელმწიფოების შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრებთან ერთად, ლეიპციგში ჰქონდათ თათბირი; თათბირზე ირჩევდა საკითხები მუშათა მილიონ ფრონტისა და კომუნისტებისა და სოციალ-დემოკრატების თანამშრომლობის შესახებ ორივე სახელმწიფოების მთავრობებში; თათბირზე ირჩევდა აგრეთვე საკითხი ბრძოლის წარმოების შესახებ ბავარიის ფაშიზმის წინააღმდეგ. შტრეზემანი ანგარიში გაუწია საშუალო გერმანიაში შექმნილ წითელ ბლოკის საშიშროებას, ფიქრობენ, ეხიფათს უმზადებს ბერლინის მთავრობას და ამიტომ წინადადება მისცა ციეგნერსა და ფრეიტიხს ჩავიდნენ ბერლინში მოლაპარაკების საწარმოებლათ.

ამერიკა ეცემა

ბარკის ქუჩა.

ბერლინი. 10 ოქტომბერი. ინგლისი გირვანქა სტერლინგი უდრის 16 (მილიონს). დოლარი 1,197 (მილიონს).

ოლარის კურსი ზევით ბიჯის.

ბერლინი 9 ოქტომბერი. დოლარის ოფიციალური კურსი უდრის 888 მილ. მარკას, შავ ბირჟაზე დოლარი 900 მილ, მეტი ღირს. ბერლინის პრესა აღნიშნავს, რომ გერმანიის მარკა საბჭოთა მანეთის კურსზე დაბლა დაეცა.

ოფლ. ო პროლეტარიატი და გერმანიის ამბები

ფრანგეთის პროლეტარიატმა მხარი და დაუჭიროს გერმანიის რევოლიუციას.

პარიზი. 9 ოქტ. გერმანიის ამბების მო, „ომქმედების კომიტეტმა“ მოა- ო პარიზში მრავალრიცხოვანი მი- ნგი, რომელზედაც სიტყვები წარ- ისთქვეს ვაინმა, კუტურიერ, კაშენმა ა მონმუსსომ, რომლებმაც აღნიშნეს ერმანიაში რევოლუციონური მოძ- ობის გაძლიერება და განაცხადეს, ომ საფრანგეთის მუშები ვალდებუ- ლი არიან მხარი დაუჭირონ გერმა- ნიის რევოლიუციას.

გამოძახილი საფრანგეთში

პარიზი. 9 ოქტ ჩრდილოეთ-საფრანგეთის მემარცხეროების უნიტარული კავშირის კონგრესი, ესალმება რა გერმანიის მუშათა კლასს, აცხადებს, რომ ის მზად არის პროფინტერნის ან შრომის უნიტარული კონფედერაციის პირველი მოწოდებისთანავე გამოვიდეს გერმანიის პროლეტარიატის დასახმარებლად.

საბჭოთა კავშირის მშრომელთა ხმა

მოსკოვის მუშა-ქალების დასტა- რება.

მოსკოვი. 10 ოქტომბერი. გუშინ შესდგა ქალ. მოსკოვის მუშა-ქალების დელეგატთა საერთო — საქალაქო კრება, რომელსაც დაესწრენ მუშა ქალები მაზრიდანაც. კრებაზე გამოვიდა კლარა ცეტკინი, რომელსაც მხურვალე ოვაციებით შეხვდენ.

„ს. ს. რ. კ. მუშათა სოლიდარობა გერმანიის პროლეტარიატთან იწყება 1917 წლიდან. ოქტომბრის პროლეტარიატი გერმანიის პროლეტარიატის მასწავლებელია. გერმანიაში დარწმუნებული არიან, რომ ს. ს. რ. კ. პროლეტარიატი უფლებას არ მისცემს არავის, რომ ვასეროონ გერმანიის რევოლიუციი. ჩვენი ვალია გავამთელოთ გერმანიის პროლეტარიატის ნდობა“. კლარა ცეტკინის სიტყვა დაფარული იყო შეუწყვეტელ აპლოდისმენტებით. მიღებულია წინადადება მოწყობილ იქნეს ბერლინში ბერლინის მუშა ქალების ბავშვთათვის მოსკოვის მუშა ქალების სახლობის საბავშვო სახლი. მრავალმა დელეგატებმა—მუშა ქალებმა აქვე გადასცეს პრეზიდიუმს ოქროს ბეჭდები და საყურეები და სთხოვეს მას გადაუგზავნოს ისინი ბერლინის რევოლიუციონურ პროლეტარების ბავშვებს. მოსკოვის მუშა ქალების სახელით კლარა ცეტკინს ბერლინის მუშა ქალებისათვის გადასაცემათ მიართვეს დროშა შემდეგი წარწერით: „წინ ბრძოლისაკენ მუშურ-გლეხურ მთავრობისათვის“. დადგენილია მოწყობილ იქნეს რამოდენიმე შაბათობა გერმანიის მუშა ქალების სასარგებლოთ.

საბოლოო სიტყვაში კლარა ცეტკინი აცხადებს: „მოსკოვის მუშა ქალების მიერ გადაცემული დროშები ფიარალებენ გერმანიის მუშა ქალების თავებზე და მათი თანამგზავნი იქნებიან გამარჯვებისაკენ მიმართულ გზაზე“.

ერთხმათ მიღებულ იქნა მოსკოვის მუშა ქალების მმართველ გერმანიის ქალებისადმი და მოწოდება ს. ს. რ. კ. მუშა ქალებისადმი გერმანიის მუშა ქალებისათვის დახმარების გაწევის შესახებ. კრებამ მისალმება გაუგზავნა გერმანიის კომუნისტ ქალებს.

შემთანხმებლები და რურის საკითხი

ბერლინი. 7 ოქტომბერი. მე 2-ე ინტერნაციონალის აღმასკომმა და პროფკავშირთა ამსტერდამის ინტერნაციონალის ბიურომ სხდომაზე ბრიუსელში მოლაპარაკების მოხსენებები საფრანგეთის და ბელგიის დელეგაციების მიღებული რეზოლიუცია, რომელიც სასტიკად ჰკიცხავს საფ ... ბელგიის პოლიტიკას რურში. რეზოლიუციაში ხაზგასმულია, რომ რურის ოკუპაცია არის უხეშინელესი ძალადობის აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს, რომელმაც გამოიწვია ქაოსი გერმანიაში და პოლიტიკური კრიზისი მთელს ევროპაში. რეზოლიუცია მოითხოვს დაბრუნებულ იქნეს ყველა გადახლილებული, განთავისუფლებულ იქნენ დაპატიმრებულები, განახლდეს დამოკიდებულება დაკავებულ ადგილებს და დანარჩენ გერმანიას შორის, გაუქმებულ იქნეს ჯარიმები, რომლებიც შეაწერეს დაკავებულ ოლქების მოხელეებს, გაუქმებულ იქნეს ფრანგებისადმი ერთგულების ფაცი, რომელიც საჭიროა ოკუპანტების მიერ დაკავებულ წარმოებებში სამსახურისათვის.

ოსმალეთი

ალლუმი სტამბოლში.

ლონდონი. 9 ოქტომბერი. სტამბოლში შესდგა ოსმალეთის ჯარების ალლუმი. ალლუმის უფროსმა ამირბეიმ ჯარის კაცებისადმი მიმართულ სიტყვაში განაცხადა: „დღევანდელ დღეს ვთვლი სტამბოლის მეორეთ აღების დღეთ“.

იემენის შეერთება ოსმალეთისათვის.

ბერლინი. 10 ოქტომბერი. სამხრეთ არაბეთში იემენის პროვინციამ გამოაცხადა ოსმალეთთან შეერთების სურვილი.

სხვადასხვა

იტალია.

ავსტრო ჰუნგრეთის სავაჭრო ფლოტის განაწილება.

რომი. 8 ოქტ. სამხრეთ-სლავიის ელჩმა რომში, ანტონეიჩმა, ხელი მოაწერა შეთანხმებას ფუსოლინისთან ავსტრო-ჰუნგრეთის ფლოტის იტალიასა და სამხრეთ სლავიის შორის განაწილების შესახებ.

ავსტრია.

შემთანხმებელ ბელადების წინააღმდეგ.

ვენა. 7 ოქტ. სოციალ-დემოკრატიულ ახალგაზრდათა კავშირის ცენტრმა გასცა არავითარი პასუხი ავსტრიის ახალგაზრდათა კომკავშირის წინადადებაზე ფაშიზმის წინააღმდეგ საერთო გამოსვლის შესახებ. ვენაში სოციალ-დემოკრატიულ ახალგაზრდობის რამოდენიმე ორგანიზაციამ ირჩია ცალკე კომისია, რომელმაც დაიწყო მოლაპარაკება კომკავშირთან. მოლაპარაკებაზე გადაწყვეტილი იყო არჩეულ იქნას საერთო მოქმედების კომიტეტი და გაიმართოს საერთო დემონსტრაცია ფაშიზმის წინააღმდეგ.

ინდოეთი.

ინდოეთის კონგრესის დღის წესრიგი.

ქაბული 7 ოქტომბერი. ამ დღეებში გაიხსნება ხრულიად ინდოეთის კონგრესი. კონგრესზე გარჩეული იქნება საკითხი საკანონმდებლო კრებებისათვის მოიკოტის გამოცხადების შესახებ, სრულიად აზიის ფედერაციის დაარსების შესახებ, ინდო-მუსლიმანურ ერთიანობის და ცარიელი რეზოლიუცია რეგოლიუციონურ შოქმედების მაგვარად.

ლონდონი. 9 ოქტომბერი. ინგლისის მუშათა პარტიის აღმასკომი, და აგრეთვე ინგლისის ტრედუნიონების გენერალური საბჭო გამოქვეყნებულ საერთო განცხადებაში აღნიშნავენ, რომ მეტად სასურველი იქნებოდა ინგლისის გამოსვლა საკონტრბუციონ საკითხში. ინგლისის მთავრობას ხელი შეუშალოს საფრანგეთს ჩაიგდოს თავის ხელში გერმანიის რკინისგზები და მოუწოდებს მუშაკური კავშირი დაიპიროს ამერიკასთან მოკავშირეობა ურთიერთ ვალების საკითხის მოსაგვარებლათ. განცხადებაში ნათქვამია, რომ იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთი უარს იტყვის განიხილოს ინგლისთან და გერმანიასთან ერთად ვერსალის ხელშეკრულების დარღვევა, რომელიც დაუშვა პუანკარემ, მაშინ ინგლისმა დაუყოვნებლივ უნდა მოიწვიოს იმ სახელმწიფოების კონფერენცია, რომელთაც ხელი მოაწერეს ვერსალის ხელშეკრულებაზე.

ბულგარეთი

ბულგარეთის ბუჟეტიანი დროს უცდის.

რომი. 7 ოქტ. „მატენ“-ი სწერს, რომ საერთაშორისო ... ბულგარეთის მთავრობა, იცავს რა მეთვალყურეობის პოზიციას გერმანიის ამბების მიმართ, არ დაუშვებს „გერმანიის ქაოსის“ გავრცელებას დაკავებულ ოლქების ტერიტორიაზე. გაზეთის განცხადებით, საფრანგეთის თავმჯდომარემ მიიღო „სათანადო ზომები“ ფრანგების მიერ დაკავებულ ოლქების მოელვარებისაგან დასაცავად.

ანარქიტული ყრილობის დევნებ- ტების დაპატიმრება.

ბერლინი. 9 ოქტომბერი. პარიზში პოლიციამ დააპატიმრა და გადაასახლა საფრანგეთის საზღვრებიდან ანარქისტების კონგრესზე ჩამოსული დელეგატები შვეიცარიიდან, ნორვეგიიდან და შვეიცარიიდან.

საფრანგეთის რეაქციონერები მუშაობენ.

ბერლინი. 9 ოქტომბერი. პარიზიდან იტყობინებიან, რომ კაგორში ძველის გახსნაზე როიალისტები თავს დაესხნენ ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს მალვიას. პოლიციამ ალადგინა წესრიგი და დაპატიმრა რამდენიმე თავდამსხმელი, როდესაც მათ ხელიდან რევოლვერის ხმა რება.

ალბანეთი.

ზომები საზღვრების დასაცავად.

ბერლინი. 9 ოქტომბერი. ტირანიდან მიღებული ცნობით, ალბანეთის მთავრობამ მიიღო მთელი რიგი ზომებისა ალბანეთის ტერიტორიის ხელუხლებლობის დასაცავად. ეს ზომები მიღებულია იმის გამო, რომ სერბები ხშირად არ სცნობენ საერთაშორისო კომისიის მიერ დაწესებულ საზღვრებს და გადადიან ალბანეთის ტერიტორიაზე.

ალბანეთის მთავრობის პროტესტი.

ბერლინი 9 ოქტომბერი. ალბანეთის მთავრობამ განუცხადა ელჩთა კონფერენციას პროტესტი იმის გამო, რომ სერბები არ სცნობენ ალბანეთის ტერიტორიის ხელუხლებლობას, რასაც, ალბანეთის მთავრობის განცხადებით, შეიძლება მოჰყვეს სერიოზული საერთაშორისო კონფლიქტი.

რუმინეთი

სულ ერთია, ანაფერი უშველის ვინა. 7 ოქტ. რუმინეთის პროფკავშირთა გენერალურმა საბჭომ გადაწყვეტა თავისი მუშაობა კლაუზენბურგში, ძველ რუმინეთის კომუნისტების გავლენის გაძლიერების გამო. ბინეტში სოციალ-დემოკრატები მიმართავენ ტერორისტულ საშუალებებს, მუშების კუმშნისტების გავლენისაგან დაცვის მიზნით.

პარტიული დისციპლინის ძალით, მუშებს ეკრძალებათ კომუნისტური გაზეთების კითხვა.

ფინეთი

საშიშარი სტატისტიკა.

ჰელსინგფორსი 7 ოქტ. ფინეთის იუსტიციის სამინისტროს სტატისტიკური განყოფილების ცნობით, 1918 წლის აგვანყებაში მონაწილეობისათვის გასამართლებულ იქნა 67,788 ადამიანიდან დასჯა მიუსაჯეს 550 კაცს, გამასწორებელ სახლში ჯდომა—62,797, მათ შორის—3.951 ქალს, 4 მცირეწლოვანს მიუსაჯეს ფიზიკური სასჯელი.

უცხოეთის ცხოვრება

თანამედროვე გემების სიდიდე

გემების სიდიდე რაც დრო გადის, მით უფრო მატულობს. ასე მაგალ. 1850 წელს ყველაზე დიდი გემის სიდიდე იყო: სიგრძით 279 ფუტი, სიგანით 41 ფ. და წყალში ჩაშვებული ზედაპირი—16 ნახ. ფ, 1923 წ. კი ყველაზე დიდი სიდიდე სიგრძით 1000 ფუტს, სიგანით 102 ფ და წყალში ჩაშვებული ზედაპირით 35 ფუტს. დიდი საოკეანო გემების რაოდენობა დიდი არ არის, რადგან გემების სიდიდის გამო ძნელდება. მათი ნავთსადგურებში მოთავსება მიუხედავად ამისა გემების სიდიდის ზრდა ფაქტია, რაც გამოწვეულია ეკონომიური მოსაზრებებით. ამის შესახებ საინტერესო აზრს გამოსთქვამს ამ რიგელი ინჟენერი კინგი, რომელი გემების სიგრძის შემატებას მიიჩვევთ მიდის იმ დასკვნამდე, რომ ნიუიორკ-ევროპას შორის მომავალი გემები 1942 წელს იქნებიან სიგრძეზე 1400. ფუტი.

11 ოქტომბერი

დავეხმაროთ გერმანიის პროლეტარიატს

გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქტორს:

ამასთანავე გიგზავნით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ 29 სექტემბერს „ახალ წრეში“ მოწყობილი სალამოს შემოსავლის 1900 ჩერვონეცის მანეთს, ნახევარ გირ. ინგლისურ სტერლინგს, ორი ოსმალურ ქაღალდის ლირას და 48.382.000 მანეთი მთლათ ამიერ-კავკასიის ბონეებით დღევანდელ კურსით 11.414.082 ათას მან. გერმანიის მებრძოლ პროლეტარიატის სახარგებლოთ და თავის მხრივ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი იწვევს საქართველოს უმაღლეს სამეურნეო საბჭოს და ამიერ-კავკასიის რკინისგზაია სამმართველოს გამოიღონ მათ ამ საქმისათვის თავიანთი წვლილი.

ს. ს. ს. რ. შინაგან საქმეთა სახ. კომისარი **ა. გეზეტეკორი.**

—

ამხ. ნ. კიკნაძის გამოწვევის საპასუხოდ შეგვაქვს გერმანიის პროლეტარიატის დახმარების ფონდში თითო ჩერვონეცი და ვიწვევთ ჩვენის მხრივ შემდეგს ამხანაგებს:

მიხა ჩოდრიშვილს, არაქელა ოქუაშვილს, გიორგი ჩხეიძეს, ლ. დუმბაძეს, სილია თოდრიას, ლევან მირიოტაძეს, გიორგი რთველაძეს, მოსე კვარაცხელიას, კოლია სოკოლოვსკის, სერიოჟა ქავთარაძეს, გიგო და მიშა კიკნაძეებს, ბაგრატ მაჩიბიძეს და ვანო ბოლქვაძეს.

ამასთანავე ვაცხადებთ ამ ამხანაგების საყურადღებოთ, რომ მათ შეუძლიათ გადაიხადონ მეტი და არა ნაკლები იმისა, რასაც ჩვენ ვიხდით.

სევასტი თალაკვაძე და სიმონ ჩიხლაძე.

—

ამხ. ნ. კიკნაძის გამოწვევის საპასუხოდ შემოაქვს გერმანიის პროლეტარიატის დახმარების ფონდში სამოცი მილიონი მანეთი.

გ. კვარაცხელია.

—

გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქციას.

თანახმათ ამხ. ბ. ბიბინეიშვილის გამოწვევისა, ვწირავ გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ ერთ ჩერვონეცს. მე ჩემი მხრიდან ვიწვევ ამხ. 1. კ. თავბერიძეს, 2. კ. მოდებაძეს, 3. ს. თოდრიას, 4. ის. თალაკვაძეს, 5. ივ. ცინცაძეს, 6. ბ. ნადირაძეს, 7. გ. კუქაიძეს, 8. ან. დოლიძეს, 9. თ. დოლიძეს, 10. ს. ქურიძეს, 11. შალვა ნუკუბიძეს (პროფესორს) და 12. ამხ. ს. ჯუღელს.

კ. ხომერიკი.

—

გერმანიის პროლეტარიატის დახმარების ფონდის გასაძლიერებლად შემატქვს 20 მილიონი მანეთი ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით და ვიწვევ ცეკის შემდეგ მემბრებს: ამხ. ამხ. ნ. ნაკაშიძეს, ე. მელკონოვას, ნ. ინუშკოვსკაიას, მ. ბოკორიშვილს, მ. დოდონაძეს, ნ. სემიონოვას, მ. რომანოვას, რ. ტასლახჩევას და მ. მაკარაუსოვას.

მემანქანე **ანეტა ზედგინიძე**

შემოვიდა 10 ოქტომბერს

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან—190 ჩერვონეცი (1900 ჩერვ. მანეთი), ნახ. გირ. სტერლინგი, 2 ოსმალური ქალ. ლირა, 48.382.000 მან. **ამიერ-კავკასის** ფულის ნიშნებით. ამხ. **სევასტი თალაკვაძისაგან** ერთი ჩერვონეცი, ამხ. **სიმონ ჩიხლაძისაგან**—1 ჩერვ., ამხ. **კ. ხომერიკისაგან**—1 ჩერვონ., **ან. ზედგინიძისაგან** 20 მილ., **გ. კვარაცხელიასაგან**—60 მილ.

წინეთ შემოსულით (7 ჩერვ. და 398 მილ. მან.)—200 ჩერვ., ნახ. გირ. სტერლინგი, 2 ოსმალური ქალ. ლირა და 562.482.000 მან.

რეაქციონერ-ფაშისტები

(„ზაკროსტას“ ცნობები)

გერმანიის ამბები

გერმანიის პროლეტარიატი დიდი უკმაყოფილებით შეხვდა კოალიციის აღდგენას. სოციალ-დემოკრატების თანამშრომლობ იწვევს მუშების ჩამოშორებას სოციალ-დემოკრატებისაგან.

სოციალ-დემოკრატების კონფერენციაზე ბერლინში არ ალაპარაკეს მემარჯვენე ფრთის წარმომადგენელი, რომელიც ამარ ლებდა კოალიციას ბურჟუაზიასთან.

სტინეს-დეგუტის მოლაპარაკებას შტრეზემანის მთავრობაც უჭერს მხარს. გერმანიის მთავრობამ ამის შესახებ ოფიციალურ წინადადება მისცა საფრანგეთის მთავრობას.

ტიურინგიისა და საქსონიის მუშურ მთავრობებს შორის მოხდა სრული შეთანხმება შეთანხმებული მოქმედების შესახებ კონტრევოლიუციის წინააღმდეგ.

დამოკიდებულება ბავარიასა და შუა-გერმანიის რესპუბლიკებს შორის მწვავდება.

ბერლინში განახლდა „როტე-ფანეს“ გამოსვლა.

რეიხსტაგში

პარიზი. 10 ოქტ. რეიხსტაგში იხილავენ კანონ-პროექტს მთავრობისათვის საგანგებო უფლებების მიცემის შესახებ. შინაგან საქმეთა მინისტრმა ზოლმანმა გასაცხადა, რომ ეხლანდელი მდგომარეობა მოითხოვს თავ-მისგან ეკან დახევას კონსტიტუციონერი გზებიდან. სოციალისტი მიულერი და კომუნისტები სახელმწიფოს ღალატად სთვლიან მიღებულ ოქმ-მოდელს. რეიხსვერის მინ სტრმა მოხსენება გააკეთა ამ ბრძანების შესახებ, რომლითაც აღკრძალულია ამბების ესახებ ცნობების გამოქვეყნება, ოფიციალურ ცნობათა გარეშე. შემდეგ რეიხსტაგმა გადასდო კამათი მთავრობის განსაკუთრებულ უფლებების შესახებ, რომელსაც მოითხოვდა კანცლერი და რომელიც უკვე მოწონებულ იქნა რეიხსტაგის მიერ.

შტრეზემანი ამართლებს თავის კოლეგიალობას.

ბერლინი. 9 ოქტომ. დღეს, სამშაბათს დილით დამთავრდა რეიხსტაგის სხდომა, რომელიც 12 საათს გრძელდებოდა; სხდომაზე სწარმოებდა კამათი შტრეზემანის მოხსენების შესახებ. კამათის შემდეგ, რეიხსტაგმა მოიწონა კაბინეტის პოლიტიკა და ნდობა

ფაშიზმის დაწყება პროლეტარიატის წინააღმდეგ.

ბერლინი. 9 ოქტომბერი. რეიხგესტფალიის მაღაროების მეპატრონეთა კავშირმა მიწის ქვეშეთის სამუშაოებისათვის კანონით დაწესებულ 7 საათის სამუშაო დღის მაგივრათ შემოიღო 8 საათის სამუშაო დღე. მაღაროს მუშების კავშირი მოუწოდებს არ დაემორჩილონ მწარმოებლების მოთხოვნილებას.

კარი მოქმედობს.

ბერლინი. 7 ოქტ. სამი თვეით დაპატიმრების, დიდი ჯარიმისა და საზოგადოებრივ სამსახურის უფლების 5 წლის დაკარგვის მეამბოხეთა ... ქვეშ, კარმა აღკრძალა კომუნისტური გაზეთების ბეჭდვა და გავრცელება ბავარიაში. კარი ამზადებს ზომებს ახალგაზრდათა კომუნისტური მოძრაობის დასანგრევლად. ალნიშნავენ რა კარის მოქმედების უკანონობას, „ფრანკფურტერ“ ზაზს უსვამს გერმანიის მთავრობის უძლურებაზე უზურპატორის წინააღმდეგ.

ბავარია-საფრანგეთის მოლაპარაკების წინ

სტინესის მოლაპარაკება ბენიგალ დეგუტთან

ბერლინი. 9 ოქტ. სტინესის მოლაპარაკება ბენიგალ დეგუტთან დიუსელდორფში საერთო ყურადღებას იპყრობს. იტყობინებიან, რომ სტინესის დიუსელდორფში გამგზავრების ორი დღის წინ, ელენში შედგა გერმანელ მრეწველის ოტტო ვოლფ ს შეხვედრა საფრანგეთის უმაღლეს კომისარ ტირართან; შეხვედრის საგანი იყო საკონტრიბუციო გადასახადების განხილვის საკითხის გამორკვევა. თავისი კონკურენტის მოქმედებით შეფუთხებული, სტინესი ჩავიდა ოკუპაციაქნილ ოლქში ბენერალ დეგუტთან მოსალაპარაკებლათ.

მოლაპარაკება მეუშაოანი განახლების შესახებ რურში.

ბერლინი. 10 ოქტომბ. გერმანიის მთავრობამ მიმართა წინადადებით პარიზს და ბრიუსელს გასცენ საბოლოო პასუხი, ფიქრობენ, თუ არა საფრანგეთის და ბელგიის მთავრობები მოლაპარაკების დაწყებას გერმანიასთან მეშობის განახლების შესახებ რურში. პასუხის მიღებამდე, გერმანიის მთავრობა აცხადებს, რომ მას საშუალება არა აქვს უპასუხოს რურის გერმანელ მრეწველების თხოვნაზე საკონტრიბუციო ნახშირისთვის კომპენსაციის შესახებ.

ტინესის ზრახვები.

ბერლინი. 10 ოქტ. „ფოსიშე ცეიტუნგ“-ის ცნობით, სტინესმა გერმანიის მრეწველების სახელით მიმართა კანცლერს, რომელშიც მოითხოვს ანაზღაურებას იმ ნახშირის, რომელიც რურის ოკუპაციის დროს ელენ იგდეს ფრანგებმა, გადახდილ სანახშირო გადასახადის და სანახშირო გადასახადის აკრეფის შეწყვეტას. გერმანიის მიერ მომავალში საკონტრიბუციო ნახშირის თვის დროზე მიწოდების გარანტია, მისი აზრით, უნდა იქნეს სამუშაო საათების გადიდება.

შავ ბანაკში

შეტევის დაწყება პროლეტარიატის წინააღმდეგ.

ბერლინი. 9 ოქტომბერი. რეიგენსტფალიის მაღაროების მეპატ

ბათს, 11 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე შესდგება

ტფილისის აღმასკომის სხდომა

(აღმასკომის შენობაში)

დღის წესრიგი:

1. ...ამმა თვლის განყოფილების გაუქმების შესახებ.
2. ...ომენტის ქარხნის გახ. ნის შესახებ.
3. მიმდინარე კითხვები.

...ასკომი: ყველა წევრებისათვის სხდომაზე დასწრება სავალდებულოა.

1—1 **პრეზიდიუმი.**

...ბარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა, რომ პარის კომუნის, 12 ოქტომბერს

ერთიან პარტიულ დღეს

...ავს დღის წესრიგში: **ბაკოთი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის პლენუმის შე ახებ.**

...ასალები დაიგზავნება რაიკომებს ხუთშაბათს, 11 ოქტომბერს.

ტფილისის კომიტეტის მდივანი: რუზენი.

ხუთშაბათს, 11 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე შესდგება

...ის კომიტეტის საგანგებო ხანგრძლივ **განყოფილების გაფართოებული სხდომა**

ოქტომბრის ზეიმის გატარების შესახებ

...ბარიან წინ ელარმიელთა, მუშათა, კომკავშირის წევრთა კლუბების გამგეებ და დრამატიული წრეების ხელმძღვანელები.

დღის წესრიგი:

...ოგრამის შემუშავება ზეიმის ჩასატარებლათა ადგილებზე.

...ბიუროებმა თან უნდა იქონიონ არსებული რეპერტუარის სიები და აგრეთ ...ეგენი სტენარები ზეიმთან დაკავშირებულ თემებზე.

მ. ესხენი.

...ულგარეთის ამბების აზრი

„პრავდა“-ს წერილი

...ოსკოვი. 9 ოქტ. „პრავდა“-ს მო... წერილში ამ სათაურით ამბ. ...ოვენ სწერს:

...ულგარეთში მუშათა და გლეხთა ...ბრის აჯანყება ჩაქრეს. ...ასტიკად შურისძიება. სეტყვმბ...ამების აზრის გაგება შეიძლება ...ის ამბებთან დაკავშირებით. 9 ...ს ცანკოვის გადატრიალების ..., იმ აღშფოთების გავლენით, ...ოც გამოწვეული იყო სტამბო...ის მიერ კომუნისტების დევ... ბულგარეთის კომპარტიის ცე...ვერ გიგო აუცილებლობა და ...შეძლო გამოსვლა გლეხებთან ...ად თეთრების წინააღმდეგ. პო...ტიკური უმწეობა, გლეხების ზედა ...ების გაბრწყნა, რომელთაც სჯე...ათ დემოკრატიის შეურყეველ...ი მიზები თეთრების გამარჯვე... 9 ივნისს. მისი განწყობილი ...ანკოვის წინააღმდეგ. მაგრამ ...ით შეუკავშირაღლობა, მათმა ...ტიკურმა უმწეობამ და კომპარ... ხელმძღვანელთა შემცდარმა ...ტიკამ საშუალება მისცა ფაშის ...ბურჟუაზიას მცირე რაზმით ...ი ჩაეგდო ძალაუფლება.

...ამის შემდეგ გლეხობის განწყობა ...ასტიკად შეიცვალა. მან შეი...ა მხოლოდ ქალაქის მუშათა ...ლობასთან კავშირით შეიძლება ცან...ოს რეტების დამხობა. კომპარტიის ...ბაზე წარმოშვა დილემა: ან და...ცა უბრძოლველათ დევნა-შევი...ებისაგან, რომელიც დაიწყო ცან...ბა, ან სახიფათო ბრძოლა. ბულ...ეთის კომპარტიამ აირჩია უკანას...ელი გზა. რამდენადაც შეიძლება ...ოდან ამის გასინჯვა, ის სწო... მოიქცა. მან ვერ მოიპოვა გამარ...ება და გაიღო დიდი მსხვერპლი, ...რამ არ დანებდა უბრძოლველად. ...ა დუმტკიცა მუშებს და გლეხთ..., რომ ის მზად არის სათავეში ...ედეს ყველა რევოლიუციონერ ...ებს ბურჟუაზიის ბატონობიდან ...საბავისუფლებლათ.

...ბუნდავათ საშინელი დარბევისა ...ბულგარეთის კომპარტია მტკიცეა, განსაკუთრებით სოფელში. სეტყვმ...ბრის დამარცხებაში მოსჩანს მომავალი გამარჯვების ნიშანი. მთელი გლეხობა მზად არის გაპყვეს კომ...პარტიას. გლეხობა ბლოკადის უცხადებს დედა-ქალაქს, უარს ამბობს რა სურსათის შეზიდვაზე; ახალგაზრდა გლეხობა არ ერიდება ბრძოლას. მას არ ჰყოფნის იარაღი, ამიტომ ჯერ-ჯერობით საქმეს სწყვეტენ ვრანგელის მომხრეების მცირე ჯგუფები და თეთრ მაკედონელების რაზმები.

დოქტორინიორობის შედეგების გამოსწორებით, ბულგარეთის კომპარტიამ გამონახა გზა მახლობელ გამარჯვებისაკენ. ცანკოვის რეგულ�არულ არმიაში დაიწყო ომი. იწყება პარტიზანული ომი. აჯანყებულნი სოფლებიდან უკან იხევენ მთებში და იქ იწყებენ პარტიზანულ ომს, კომპარტიის დირექტივებით. ცანკოვს არ ეკოფა ძალები ბრძოლაზე, რომ დაიპყროს კონტრრევოლიუციონერი ჯარებით ბულგარეთის ყველა სოფლები, სოფლების ოკუპაციის ცდა გამოიწვევს არმიის გადასვლას რევოლიუციონერი ხალხის მხარეზე.

ბულგარეთის თეთრმა სოციალ-დემოკრატიამ ითამაშა წარმოუდგენელი სამარცხვინო როლი ყვითელი ინტერნაციონალი სდუმს. ბულგარეთის ამბებმა იეზისში და სეტემბერში დაუმტკიცეს გლეხობას, რომ ის მუშათა კლასთან ერთად. კომპარტიის ხელმძღვანელობით — ყველაფერია, ხოლო მუშათა კლასის გარეშე — არაფერი. ისწავლეთ, ყველა ქვეყნის გლეხებო, ბულგარეთის ცდით ამ ცდით კომუნისტებმა თვალები უნდა აუხილონ გლეხობას. ბურჟუაზიამ მიერ გლეხობას გადაბირების ცდას კომუნისტებმა უნდა უპასუხონ მუშათა და გლეხთა მთავრობის და გლეხების და მუშათა კლასის კავშირის ლოზუნგების პროპაგანდით. დიე ბულგარეთის გაკვეთილები ისარგებლონ მთელი ქვეყნის კომუნისტურმა პარტიებმა“.

„რესპუბლიკანური ოსმალეთი“

„იზვესტია“-ს წერილი

...ოსკოვი. 9 ოქტომბერი. „იზვესტია“-ს მეთაურ წერილში ამ სათა...ით, ოსმალეთის რესპუბლიკის ოფი...ალურ გამოცხადებისა და ოსმა...ურ ჯარის კონსტანტინოპოლში შე...ვის გამო, აბს. ვილენსკი სწერს:

„ნორჩ ოსმალეთის რესპუბლიკის ...ნაზე სდგას საკითხი აღმოსავლეთის ...ალური ხალხთა პოლიტიკურ ძალ...ის კონსოლიდაციის შესახებ, რაც უნდა მოხდეს ს. ს. რ. კავშირთან, — ჩაგრულთა მეგობართან, — ერთად. რუსეთის მუშები და გლეხობა, — ოსმალეთის ხალხის მეგობრები, — სალამს უძღვნიან ნორჩ რესპუბლიკას და გამოსთქვამენ იმედს, რომ რესპუბლიკანური ოსმალეთი დარჩება იმათ რიგებში, ვინც მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ იბრძვის“.

...ითელ ...ესპუბლიკებში?

რუსეთი.

ჩვენი მეუფრნეობა ცოცხლდება.

...ოზნის რობტაგი. 8 ოქტ. ტაგან...როგში ამუშავდა დიდი ხნის წინეთ ...ბურული მილების დამშუშავებელი ...ირხანა „იუგოსტალი“-მა მას შეუ...ეთია 10.000 ფუთი მილი.

გლეხის ინტერესი წაგნისადმი.

...ოლტავა. ახალგაზრდათა კომკავში...ის მეორე სოფლად გიგზავნილი ...ოგინის დამტარებლები ამბობენ, რომ ...ლეხები ძრავლთო ყიდულობენ წიგ...ებს. **წიგნის** დამტარებელთა რიცხვი მრავლდება.

ჩვენი იმპერატორი.

...ეტროგრადი. 8 ოქტ. პორტში ...ოველდღე მოდის პუ...ით დატვირთული 100 ვაგონი. ერთი დღის განსაზღვრაში ნორეგიაში ...ვიგზავნა 150.000 ფუთი ხორბალი, შვეიცარიაში — 60.660 ფ. და ფინეთში — 30.000 ფუთი.

ფულის ნიშნების შესახებ.

...ოსკოვი. 8 ოქტ. „როსტა“-ს თა...ანამშრომელთან საუბარში ფინანსთა ...ახალო კომისარიატის კოლეგიის ...ევრმა თუმანოვმა სთქვა: „ხმები ...ფულის ნიშნების მომავალ დენომინაციის შესახებ უსაფუძვლოა. დენომინაციის საჭიროება არ არსებობს. განზრახულია უფრო სრულყოფილ ნიშნების გამოშვება, მაგრამ ღირებულებით ისინი 1923 წლის ფულის ნიშნების თანასწორი იქნებიან.

...ულგარეთი

...ოფია, 11 ოქტომბერი. (ბულგარეთის ...ელეგრაფო სააგენტოს ...ეფეშები). ...ოფიაში ...ოფიაში ...ოფიაში

ჟურნალი ცხოვრება

გაუწოდოთ ხელი გერმანიის მუშებს

მთელი ჩვენი ყურადღება დღეს გერმანიისაკენ არის მიქცეული; დღითი-დღე ვეღით, რომ მშრომელი ხალხის გამაოგჯვების ამბავი გადმოგვცეს რადიო-ტელეგრამამ!..

გერმანიის პროლეტარიატის გამარჯვება საერთაშორისო მშრომელი ხალხის გამარჯვება არის; ხოლო ძისი დამარცხება კიდევ ხანგრძლივად დაგვადგამს მშროველ ხალხს მონობის უღელს და შემდეგში დიდი ცხსგერკლის გაღება დაგვერდება მის გადასაგდებად.

ეს კაოგად ესმით მშრომელი ხალხის ტოგებს. ისინი გრძნობენ წინდაწინ თუ რა მოჰყვება გერმანიის პროლეტარიატის გაიაოჯვება. ამისათვის ცსოფლო ავაზაკები არაფერს არ დაზოგავენ, ოღონდ ძირშივე ჩაჰკლან გერმანიაში ბოსალოდნელი რევოლიუციია და მით თავიდან აიცილონ მშრომელი ხალხის რისხვა, რომელიც მოელით მათ.

კაოგად ვიცით, რომ მოკავშირე სახელმწიფოებმა,—ინგლისმა, საფრანგეთმა და იტალიამ,—საკმისელი ეკონომიური ზაოალი მიაყენეს გერმანიას საზავო ხელშეკოულების ძალით და უკანასკნელად ეს ეც აღარ აკმარა ავაზაკ პუანკაოეს მთავრობამ, რომელმაც ჯაოი შუესია გერმანიას და ოტაკეტლობის მიზნით დაიკოა ქვანახშირის მადნები რუოის ოლქში.

გერმანიის ეკონომიურმა დაზარალებამ საშინელ მდგომაოეობაში ჩააყენა უძთავოესად მშრომელი ხალხი და დაარწმუნა ისინი, რომ ხსნა მხოლოდ და ამოლოდ რევოლიუციაშია, რომელიც ალაგმავს მიმხტომ მტერს, გადმოყოლის გერმანიის მთავრობაში მოქცეულ არასასურველ პირებს და დაამყაოებს **მუშების და გლეხების ხელისუფლებას.**

გერმანიის გაბატონებული კლასი ბურჟუაზია ყოველნაირის საშვალებით სცდილობს, რომ მოსალოდნელი რევოლიუციის ცეცხლი თავიდან აიცილოს, თუნდ მთელი გერმანია საფრანგეთის ბურჟუაზის საწველი ფური გახდეს. ამისათვის ის არავითარ ზომას არ ერიდება, მტრებსაც კი დაუკავშირდება მშრომელი ხალხის დასამარცხებლად და თავის ბატონობის შესახარჩუნებლად.

მაგრამ ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს შეკავშირებულ პროლეტარიატს!..

დღეს გერმანიის მშრომელ ხალხს, რომელიც განიცდის საშინელ ხელმოკლეობას, უსოერსათობას და იარაღის მუშების საერთო გამარჯვებისათვს, ჩვენი უდიდესი მოვალეობა არის ძმური ხელი გაუწოდოთ და მცირეოდენს დახმარებით, ჩვენის წვლილით გავამხნეოთ ის.

თუ კი ჩვენი კლასიური მტრები, ბურჟუა-კაპიტალისტები უკავშირდებიან ერთმანეთს თავის გამარჯვებისათვის, ჩვენ, მუშებს განა არ გვმართებს შეკავშირება.

ჩვენი კავშირი უფრო მტკიცე უნდა იყვეს, შეურყეველი, რადგან ჩვენ გულწრფელად უკავშირდებით მთელი მსოფლიოს მუშებს, რადგან მიზანი და მისწრაფება ერთი გვაქვს, ხოლო ბურჟუაზია ორპირია და თაღლითი.

მუშკორი დ—ელი.

—

შრომის დამცველნი უნდა იყონ ფხიზლად

(შრომის ინსპექციის საყურადღებოდ)

ჩვენთან, ამხ. ლენინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკაში, დიდი ხანია შრომის დაცვის ორგანოს წარმომადგენლებს აღარ შემოუვლიათ.

ასეთ დარგში კი სრული წესიერება არ სუფევს:

1) ადფუღბული წყლის ბაკი გატეხილია, ჭანგიანია, უსუფთაოდაა და წყალიც გადის;

2) წყლის დასალევი თასი არ ვარგა;

3) წყალსადენის „რაკოვინები" დაბეჭერილია და დაეანგაენო, რის გამოც წყალი მილში გადაქცევის მაგივრად ძიწაზე იქცევა, ჩნდება „პატარა ტბები" და ტალახი, რომელიც მუშებს სიარულის დროს ფეხით ფაბრიკაში ჩამოაქვთ;

4) პირსახოცები ძალიან ცოტაა, 5 კაცზე ერთი და ისიც უსუფთაოდ ინახებიან.

ამას გარდა მუშებს ხელსაბანი საპონი არა აქვთ და აღსანიშნავია ისიც, რომ უკვე მიღებულ სამუშაო ხალათებს ისინი სამუშაოზე არ იცმენ.

საჭიროა შრომის ინსპექტორმა ყველა აღნიშნულ დანაკლისებს ყურადღება მიაქციოს და სათანადო ზომები მიიღოს მათ გამოსასწორებლად.

მუშკორი მახსი.

—

რეინისგზის მთავარ სახელოსნოში

(ერთი სურათი).

კარგა ხანი იყო, არ მენახა ჩემი ძველი ამხანაგები. გულმა გამწია და შევიარე სახელოსნოებში ძველი ამხანაგების სანახავად და თვითონ ქარხნის დასათვალიერებლად. მე მინდოდა გამეგო, თუ რამდენადად შეიცვალა ქარხნის მდგომარეობა, თუ რა პირობებში უხდებათ მუშებს მუშაობა და სხვ. და დავინახე, რომ ქარხანას ძველი სახე შესცვლოდა; შრომის პირობები კარგი იყო და მუშებსაც, რომელთაც ორი წლის წინდე შესაბრალისი ფერი ედოთ და გაყვითლებული, დაღონებული სახის გამომეტყველება ჰქონდათ, ეხლა კი სულ ჯანმრთელად გამოიყურებოდნენ, სახეზე დაღვრემილობა არ ეტყობოდათ და ყველანი მხიარულად გამოიყურებოდნენ მიუხედავად იმისა, რომ ქარხნის შეხუთულ ჰაერში მუშაობენ ზოგიერთნი კიდეც.

ჩემ შეკითხვაზე, თუ როგორ აკმაყოფილებენ მათ ჯამაგირით და ულუფით, მათ მიპასუხეს: „ჰური ფული არ გვაკლია, მაგრამ ტანისამოსს კი ვერ ვყიდულობთ და ძალიან სიტიტველს განვიცდით; საერთოდ ჯამაგირები ცოტა გვაქვს. შარშან კი ენკენისთვიდან იახვომადიმ კარგ ჯამაგირს ვიღებდით და აეა წლის იანვრიდან დღეძდე კი ჩვენი შრომის ხელფასი ძალიან ნაკლებია". ჩვენმა მუშებმა მაინც იმედი გაიოსთქვეს, რომ ეს ასე არ დაიჩება (მათი ეკონომიური მდგომარეობა გამოკეთდება და უკეთეს პირობებში ექნებათ მუშაობა. დღეკანდელ გაპირვებას ისინი იმით ხსნიან, რომ ოკინისგზას შემოსავალი ნაკლები აქვს და ამიტომ ჩვენი მუშები ამ გაოემოებას ანგარიშს უოვენ.

„ჩვენ არავის არ ვედავებით, რადგანაც მუშებიც ჩვენა ვართ და საქმის პატიოსანი მუშები.

მუშკორი **ზაკო ნავთლუღელი.**

—

ორთაჭალის მუშათა კლუბი.

ხარფუხის ქართული დრამატიული წრე მთელ საზაფხულო სეზონში ეწეოდა დაუღალავ მოოძას მუშათა კულტურულ წინსვლელობისათვის. ამს უხდებოდა კვირაში ერთხელ უფასო წაოძოდგენეიის მართვა ორთაჭალის ქარხანათა მუშებისათვის. ხსენებულ წრის წევრებს არავითარი ჯილდო არ ღირსებიათ მთელ სეზონში და არც ყოფილა მათ ძირივ აღძრული კითხვა ჯილდოს შესახებ. თვით წრის ხელძღვანელს ამბ. ბაღაშვილს უხდებოდა ყოველ დღე სიარული ორსამ ვერსის მანძილიდან უსასყიდლოთ და მასთან ის დიდ ენერგიას ხარჯავდა პიესების დადგმაში, რისათვის ჩვენი მუშები მას უცხადებენ დიდს მადლობას. საზამთრო სეზონის მუშაობა ჯერ-ჯერობით შეჩერებულია. მიზეზი ამისა შემდეგშია: საზამთრო კლუბი მოთავსებულია აქაურ წოთელ ლაშქრის შენობაში და აქ მუშაობას კი ვერ იწყებენ, რადგანაც ხსენებულ კლუბის გამგე დიდ გადასახადს სთხოვს წრეს თითო წარმოდგენაში, რის გადახდა შეუძლებლად მიაჩნია წრეს; ბილეთების ფასები კი ძლიერ მცირეა და ხარჯებსაც ვერ გაასწორებს.

ამ. ლენინის სახელობის პირველ ტყავეულობის ქარხნის შენობაში ქარხ

ხელოვნება

ბარერის კონცერტების ციკლი.

ნიჟიერმა პიანისტმა ბარერმა 9 ოქტომბერს გამართა თავისი გამოსათხოვარი clavier abend.

კონცერტის პროგრამა ფართო და მრავალფეროვანი იყო. აქ იყო დიდებულ ბახის ნაწარმოებები, იყვენ კლასიკები სკარლატტი, რამო, ლიულლი, იყო შოპენი, სკრიაბინი და ლისტი.

ჩვენმა სტუმარმა აუდიტორიის სამსჯავროზე წარმოადგინა თავისი მრავალფეროვანი ნიჭი.

ბარერმა კონცერტი დაიწყო ბახის დიდებულ ხრომატიულ ფანტაზიით და ფუგით d moll ფანტაზიამ ვერ დასტოვა ღრმა შთაბეჭდილება. მსახიობი მეტათ ჩქარ ტემპს იღებს, რაც ცუდათ მოქმედობს ნაწარმოების სტილზე და ხასიათზე (ფანტაზიაში საჭიროა მეტი ინტუიცია და სიღრმე. სამაგიეროთ ფუგა (უმნელესი) დამთავრებულათ და მხატვრულათ იყო შესრულებული.

ფუგაში სამი ძირითადი თემაა—(სამი ხმა) და ყველა ისინი მკაფიოდ ისმოდენ ფუგის მთელ მანძილზე. ფინალში სასურველია ისმოდეს ორღანის ხმა. ბახის დროს ხომ (150 წლის წინეთ) არ იყო გაუმჯობესებული ფორტეპიანო და გენიალური ბახი თავის ნაწარმოებების უმთავრეს ნაწილს სწერდა ორღანისათვის.

სასურველი შთაბეჭდილება ვერ დასტოვა ბეთხოვენის სონატამაც № 29; აქ არ იყო დაცული ნაწარმოების ეპიური სტილი, განსაკუთრებით მეორე ნაწილში, რომელსაც ბარერი რამდენიმეთ სენტიმენტალურათ ასრულებს, რაც დაუშვებელი იყო ბეთხოვენისათვის.

კლასიკების გადმოცემაში—სკარლატტის სონატაში, რამოს „Tambourin"-ში და განსაკუთრებით ლიულლის „ჟიგა"-ში მსახიობმა მოგვცა სტილური, ტეხნიკური მხრივ კი მხატვრული შესრულება. მართალია, სკარლატტის სონატის შესრულების დროს მარცხენა ხელის მელოდიაში იყო ზოგიერთი lapsus-ები (შემთხვევით არა იმ კლავიშ-ნოტების აღება, რომელიც ტექსტშია აღნიშნული), მაგრამ ეს, რასაკვირველია, შემთხვევითი მოვლენაა, რადგან პიანისტის ტეხნიკა საუცხოვოა.

ღრმათ და სტილიურათ იყო შესრულებული სკრიაბინის 4-ე სონატა. პროგრამის კარდინალურ ნომრათ იყო შუმანის სიმფონიური ეტიუდები; ეტიუდების ყველა 12 ვარიაციები და განსაკუთრებით მთავარი თემა საუცხოვოთ და შუმანის სტილის სრულის გაგებით იყო შესრულებული. მხოლოდ 6-ე ვარიაციაში სასურველია უფრო მკაფიო მელოდიური სურათი. მე-8-ე ვარიაციაში სასურველია უფრო ნაკლები roboto და რამოდენიმეთ მეტი სიმტკიცე უკანასკნელ ვარიაციაში.

მსახიობს ყველაზე მეტათ ეხერხება შოპენი.

მოქ. ბარერი პოლონეთის დიდებულ კომპოზიტორის ნაწარმოებთა ერთ საუკეთესო შემსრულებელთან უნდა ჩაითვალოს. მშვენებლად იყო შესრულებული ბალადა f moll (მეოთხე), ტიუონი S-moll და პოლონეი as-dur; ნოქტიურნის შუა ნაწილში (Soppio movimento) სასურველია უფრო მეტი ტემპერამენტი და მელოდიის მეტი გარკვეულობა.

სკრიაბინის ნაწარმოებებიდან სონატის გარდა შესრულებული იყო 2 ეტიუდი S moll და dis-moll. პირველის შესრულება უკეთესი იყო.

კონცერტი დასრულდა ლისტის ბრწყინვალე პარაფრაზით მოცარტის ოპერა „დონ-ჟუან"-იდან აღებულ თემაზე; უძნელესი ფანტაზია-პარაფრაზი შესრულებული იყო დიდის გრძნობითა და ტეხნიკურათ დამთავრებულათ.

მუსიკოსი.

—

პროლეტარულ მწერალთა კავშირის ლიტერატურული ორშაბათი

ორშაბათს, 8 ოქტომბერს, საქ. პროლ. მწერალთა კავშირმა ხელოვნების სასახლეში მოაწყო მორიგი ორშაბათი, მოხსენება უნდა გაეკეთებინა ამხ. ტროცკის წერილების შესახებ „პროლეტარულ პოეზიაზე" ამხ. დუმბაძეს, რომელიც ავადმყოფობის გამო ვეღარ გამოცხადდა და მის მაგიერ მოხსენება გააკეთა ამხ. გ. კალანდარიშვილმა. უნდა ითქვას, რომ მოხსენება ძლიერ სუსტი იყო.

კამათის დროს ამხ. კვირიკაძემ სრულიად გადმოგვცა ამხ. ტროცკის აზრი მისი წერილების მიხედვით, სახელდობრ შემდეგ საკითხებზე: 1. პროლეტარულ პოეზიაზე, 2. ფუტურიზმზე, 3. პარტიის დამოკიდებულებაზე არა კომუნისტ მწერლებისადმი და 4. საერთოდ პროლეტარულ კულტურაზე. კამათში აგრეთვე მონაწილეობა მიიღეს ამხ. ნ. ზომლეთელნა, ი. ვაკელმა, ი. ლისაშვილმა, და ქ. მეგრელაძემ.

ამ საღამოს მოხსენება რომ ამხ. კვირიკაძეს და სხვა ამხანაგების გამოსვლებს არ გამოეკეთებინა, ვერაფერს ვერ დაგვიტოვებდა. საჭიროა შემდეგში უფრო მეტი ყურადღება.

დამსწრე.

„წითელი ჭინკები". 9 ოქტომბრიდან კინო-პრფსტოში დაიწყო საქ. განათ. კომისარიატის კინო-სექციის მიერ ლენტზე გადადებულ სურათის „წითელი ჭინკების" ჩვენება, სურათი შედგენს 2 სერიას და საინტერესოა როგორც შინაარსით (გენერალ მახნოსთან ბრძოლის პერიოდი) ისე საკარანო ტეხნიკის მხრივ.

— **სამელმწიფო ოპერა.** დღეს, სახ. ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ურიის ქალი" მუსაკა გალევეის. ელეაზარის პარტიას შესრულებს ცნობილი იტალიელი მომღერალი მოსსინ.

ჩვენ აღმოვფხვრით პროვოკაციას და მოვსპობთ პროვოკატორებს

(განცხადება ტფილისის მ | გ მილიციის უფროსისა)

ა. | წ. 29 სექტემბერს მე-7 სამილიციო რაიონში შემოვიდა განცხადება, რომ ქალ. ტფილისში ციციანოვის აღმართზე სახ. № 12 მცხოვრებ ქვრივ არაქსი პოღოსის ასულ მანუკიანის 9 წლის ვაჟი აკოფი გავიდა სახლიდან 27 იმავე სექტემბერს და აღარ დაბრუნებულაო. მილიციის მიერ წარმოებულმა ძებნამ ბავშვის აღმოსაჩენათ უშედეგოთ ჩაიარა. მხოლოდ, როგორც მოხსენებული ქვრივის ჩვენებიდან სჩახს, დაკარგული ბავშვი დაბრუნებულა სახლში 6 ოქტომბერს. მილიციაში ბავშვის წარმოდგენასთან ერთად მისი ნათესავები ამტკიცებდნენ, რომ როგორც ბავშვი აცხადებს, ის ჭოლია წაყვანილი ორ ებოიელს, რომელთაც მისთვის ჭრილობები მიუყენებიათო. ამ დარემოებით ზოგიერთმა პროვოკატორებმა ისარგებლეს და გაავრცელეს ხალხში ათასგვარი ჭორი და ზღაპრული ხმები, რომლის ერთადერთი მიზანი იყო განხეთქილება და შური ჩამოეგდოთ ქრისტიან და ებრაელ მოსახლეობათა შორის. მილიციის მიერ დაგროვილ მასალისა და წინასწარ მოხდენილ კვლევა-ძიების განხილვიდან ნათლად ირკვევა, რომ ბავშვი იძულებით ზემოდ მოხსენებულ ჩვენებას, ვიღაც პროვოკატორების ჩაგონებით.

ამის გამო მილებულია ზომები პროვოკატორთა აღმოსაჩენათ, როგორც ამ ბოლოს ჩამოსულ ებრაელ ბ. ... ...